ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 3/190

შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე საქართველოს მთავრობის 2009 წლის 30 მარტის №158 განკარგულების შესაბამისად.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2012 წლის 26 აპრილს, ერთის მხრივ **სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"** (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ნიკოლოზ ვაჩეიშვილის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „მენო ინტერნეიშნლ"** (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი კურცხალიას სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაოს შესრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. შესყიდვის ობიექტი და ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტია ბაგრატის ტაძარის დასავლეთ კოშკის მინაშენის ლითონის კიბისა და გუმბათის ლითონის კონსტრუქციების დამზადების და მონტაჟის სამუშაოების შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (CPV კოდი - 45223110), რომელიც განისაზღვრება ტექნიკური დავალების და სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად. შესყიდვის ობიექტის ტენიკური დავალება და ხარჯთაღრიცხვა თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს (იხ. დანართი 1 და დანართი 2).

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **118355,76** (ას თვრამეტი ათას სამას ორმოცდათხუთმეტი ლარი და 76 თეთრი) ლარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების ჩათვლით.

2.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესყიდვასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. სამუშაოს შესრულების პირობები

3.1. მიმწოდებელი სამუშაოს შესრულებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმების დღიდან არაუგვიანეს 2012 წლის 20 ივლისის ჩათვლით.

3.2. სამუშაოს შესრულების ადგილია -ბაგრატის ტაძრი.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს შესრულებული სამუშაოს პერიოდული ინსპექტირება.

4.2შემსყიდველი, საჭიროების შემთხვევაში, ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარება, რაც გულისხმობს პერსონალს და ტექნიკურ საშუალებებს, ასევე ანაზღაურებას.

4.3 შემოწმების შედეგადგამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული სამუშაოების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.

4.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში.

4.5 შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა, მშენებლობის ნებისმიერ მომენტში შეამოწმოს გამოყენებული მასალებისა და სამუშაოთა შესრულების ხარისხი. იმ შემთხვევაში, თუ ხარისხი არ აღმოჩნდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი, შემსყიდველი მხარე უფლებამოსილია შეაჩეროს სამშენებლო სამუშაოთა წარმოება და აკრძალოს შეუსაბამო მასალების გამოყენება.
4.6 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4.7 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.
4.8 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენსსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ გენერალური დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი ჯგუფი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
5.1. მიმწოდებელი ატყობინებს შემსყიდველს სამუშაოთა საბოლოო დასრულების შესახებ.
5.2 წარმოდგენილი პირობებისა და ვადების ფარგლებში მიმწოდებელმა საბოლოო პროდუქციის სახით შემსყიდველს უნდა გადასცეს შესრულებული სამუშაოები, შესრულებული სამუშაოების ანგარიში (საქართველოს კანონის„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ” მოთხოვნათა შესაბამისად) და ექსპერტიზის (შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარებაძე უფლებამოსილი პირის) მიერ დამოწმებულიშესრულებული სამუშაოების აქტები (ფორმა 2).
5.3. შემსყიდველი ამოწმებს მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს სრულყოფილებას,მიმწოდებლის მიერ შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის დღიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
5.4. სამუშაოების დასრულების შემდგომ ხელშეკრულების 4.8 მუხლში აღნიშნული პირების მიერ შემოწმების შედეგად შედგება შესაბამისი დასკვნა და მიღება-ჩაბარების აქტი.
5.5. თუ შესრულებული სამუშაო არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი დადგენილი წესის შესაბამისად მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს.
5.6. მიმწოდებელი ვალდებულია წუნის (დეფექტების) აღმოჩენის შესახებ შესაბამისი აქტის გაფორმებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის ვადაში აღმოფხვრას ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილი დეფექტები.
5.6. თუ შემსყიდველმა სამუშაოები შეაფასა წუნით, დასრულებულად ჩაითვლება სამუშოები დეფექტების აღმოფხვრის შემდეგ.
5.7. შესყიდვის ობიექტის მიღება განხორციელდება მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის საფუძველზე (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირ(ებ)ს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების 4.8 მუხლში მითითებული პირები).
5.8. მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

6. ანგარიშსწორება
6.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებშისსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ 2012 წლის ბიუჯეტის სახსრებით.
6.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.
6.3 შესრულებული სამუშაოს ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო, მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხაზე ნაკლები, შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულებას წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეულის ფასების შესაბამისად.
6.4 ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.
6.5. წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოადგინოს ავანსის სახით გადასახდელ თანხაზე საავანსო საბანკო გარანტია(არაუმეტეს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 70%),რომლის მოქმედების ვადა 60 (სამოცი) დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტის მიწოდების ვადას. საავანსო თანხის გადახდა მოხდება შესაბამისი საბანკო გარანტიის წარმოდგენის დღიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7. ფასები
7.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული შესყიდვის ობიექტის ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

7.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.
7.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.
7.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
7.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
8.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
8.2 შემსყიდველი ვალდებულია:
8.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
8.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების პროცესში აცნობოს მიმწოდებელს ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;
8.2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.
82.4 წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.
8.3. შემსყიდველს უფლება აქვს:
8.3.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;
8.3.2. განახორციელოს კონტროლი სამუშაოების წარმოებისას;
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
8.4.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
8.4.2. დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით;
8.4.3. შეტყობინების მიღებისთანავე, აღმოფხვრას დეფექტი შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;
8.4.4 სამუშაოს განხორციელების განმავლობაში სრულად დაიცვას დადგენილი უსაფრთხოების წესები და მიიღოს შესაბამისი ზომები, რაც უზრუნველყოფს გარემოს, ისტორიული ძეგლის ქონების და სამუშაოებში მონაწილე ყველა პირთა უსაფრთხოებას.
8.4.5 სამუშაოების დასრულების შემდეგ 5 (ხუთი) წლის განმავლობაში რაიმე წუნის (დეფექტი ნაკლოვანებები) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული წუნი გამოწვეულია მიმწოდებლის მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით.
8.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:
8.5.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა
9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა

10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

11. სუბკონტრაქტორები

11.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

11.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

11.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

12.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებულია საბანკო გარანტია - N PE27600-12 გაცემული 2012 წლის 26 აპრილს ს/ს "საქართველოს ბანკის"-ს მიერ თანხით 2 368 (ორი ათას სამას სამოცდა რვა) ლარი ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) %-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადაა 2012 წლის 20 სექტემბრის ჩათვლით.

12.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვა) შემთხვევაში, მიმწოდებელს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა არ დაუბრუნდება).

12.3 მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დაუბრუნდება მხარეთა შორის შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

12.5 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

13 გარანტია

13.1. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, აგრეთვე ტექნიკურ დავალებაში მითითებულ მოთხოვნებს;

13.2. შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს სამუშაოების განხორციელების დროს რაიმე წუნის (ხარვეზის) აღმოჩენის შესახებ.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.3%-ის ოდენობით.

14.2 ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულებისას ინსპექტირების ჯგუფის მიერ წუნის (დეფექტების) აღმოჩენის შემთხვევაში საჯარიმო სანქციების ათვლა მოხდება შესაბამისი აქტის გაფორმების თარიღიდან.

14.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

15.1მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

15.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
15.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.
15.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
15.5 ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.
15.6 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუკი მიმწოდებლის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების დარღვევის პერიოდი აღემატება 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღეს.

16. ფორს-მაჟორი
16.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
16.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

17. სადაო საკითხების გადაწყვეტა
17.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
17.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

18. გამოყენებული სამართალი
18.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

19. ხელშეკრულების ენა
19.1 ხელშეკრულება შედგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

20. შეტყობინება

20.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

20.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

21. გადასახადები და დაბეგვრა

21.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

21.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

22. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

22.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან, 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გარდა წინამდებარე ხელშეკრულების 8.4.5. პუნქტისა.

23. სხვა პირობები

23.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

23.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

23.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

23.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ „საქართველოსკულტურული მემკვიდრეობისდაცვისეროვნულისააგენტო“ მის: ქ. თბილისი, თაბუკაშვილის #5 სახელმწიფოხაზინა კოდი: 220101222 ა/ა# 200122900 ს/კოდი: 204562311	შპს „მენო ინტერნეიშნლ“ მის:ქ. თბილისი, ქინძმარაულის ქ. #15 ს.ს. „საქართველოს ბანკი“ კოდი:BAGAGE22 ა/ა # GE96BG0000000183105303 ს/კ 208213084
გენერალურიდირექტორი	**დირექტორი**
ნიკოლოზ ვაჩეიშვილი	გიორგი კუტცხალია

"UNESCO" -ს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრთან და საერთაშორისო ექსპერტებთან შეთანხმებული პროექტის მიხედვით ბაგრატის საკათედრო ტაძრის (ქუთაისი, საქართველო) დასავლეთ ნავის რეაბილიტაცია (IV სტადია)

"ბაგრატის ტაძრის დასავლეთ ნავის რეაბილიტაცია. IV სტადია"

II ეტაპი – (ბაგრატის ტაძარის დასავლეთ კოშკის მინაშენის ლითონის კიბისა და გუმბათის ლითონის კონსტრუქციების დამზადება და მონტაჟი)

❖ ***ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები***

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კულტურული ფასეულობების მოვლა-პატრონობა და მათი შენარჩუნება უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სახელმწიფოს განვითარების პროცესში. აღნიშნულ ტენდერში ჩასატარებელი სამუშაოებით მოხდება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების რეაბილიტაციისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელდება.

❖ ***ძირითადი პირობები***

მიმწოდებელი ვალდებულია რეაბილიტაციის დაწყებამდე ძეგლზე დაამონტაჟოს ჩასატარებელი სამუშაოების ამსახველი საინფორმაციო ბანერი, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- მესაკუთრე;
- შემსყიდველი;
- მიმწოდებელი;
- ჩასატარებელი სამუშაოს სახეობა;
- სამუშაოების დაწყებისა და დასრულების ვადები.

ბაგრატის ტაძრის დასავლეთ ნავის რეაბილიტაციის IV სტადიის

II ეტაპზე შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი:

– ქარხნული წესით მოთუთიების გარეშე დამზადდეს დასავლეთ ნავის კოშკის მინაშენის კიბის ლითონის კონსტრუქციები

– დასავლეთ ნავის კოშკის მინაშენში დამონტაჟდეს ქარხნული წესით დამზადებული კიბის ლითონის კონსტრუქციები

– ქარხნული წესით, მოთუთიებით დამზადდეს გუმბათის სახურავის ლითონის კონსტრუქციები

– დამონტაჟდეს ქარხნული წესით დამზადებული მოთუთიებული ლითონის კონსტრუქციები გუმბათის სახურავზე.

– იმის გამო, რომ განსახილველი გარემო მაღალტენიანია და ლითონკონსტრუქციების მიმართ ითვლება აგრესიულად, გუმბათის სახურავის კონსტრუქციების ლითონის ზედაპირის დაცვა უნდა განხორციელდეს მეტალიზაციის მეთოდით (ცხლად მოთუთიება). მეტალიზაციამდე ლითონის ელემენტების ზედაპირი უნდა გასუფთავდეს სილაჭავლით

– ლითონის ძირითადი ელემენტების მეტალიზაცია უნდა განხორციელდეს ქარხანაში, ხოლო ლითონის ჩონჩხედის სრულად დამონტაჟების შემდეგ, გაიწმინდის კვანძები სილაჭავლური მეთოდით და აღდგეს ანტიკოროზიული ფენა იგივე მეთოდით.

– კიბის ლითონის კონსტრუქციების კოროზიადაცვა განხორციელდეს მეტალის "ანტიკოროზიული საღებავით" (სურიკით)

ზემოაღნიშნული სამუშაოები უნდა შესრულდეს არქიტექტორ ანდრეა ბრუნოს არქიტექტურული და შპს "კაპიტელის" მიერ წარმოდგენილი კონსტრუქციული ნაწილის ტექნიკური დოკუმენტაციის (ალბომი №IV-Iᴀ და ალბომი №IV-B) მიხედვით, რომელიც მიმწოდებელს გადაეცემა ხელშეკრულების გაფორმებისთანავე.

- სამუშაოები უნდა შესრულდეს პროექტით გათვალისწინებული მასალების სპეციფიკაციის დაცვით, მაღალხარისხიანი მასალების გამოყენებით. სამუშაოების მსვლელობისას გამოყენებული მეტალის სორტამენტები მოცემულია ტექნიკური დოკუმენტაციის განმარტებით ბარათში.

ნაგებობის კონსტრუქციების მნიშვნელობის გათვალისწინებით სახარჯთაღრიცხვო ფორმაში გათვალისწინებული უნდა იყოს საავტორო ზედამხედველობის ღორებულება, მოქმედი სამშენებლო ნორმების მიხედვით.

მიმწოდებელმა, სამუშაოების განხორციელებამდე, ლითონის მასალების სახეობა უნდა შეათანხმოს შემსყიდველთან. სამუშაოები უნდა შესრულდეს მაღალი ხარისხით, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ფასეული ელემენტების შეანარჩუნებით.

სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობისას ახლადგამოვლენილი გარემოებ(ებ)ის გამოვლენისა და მისი დასაბუთების შემთხვევაში, პროექტიდან რაიმე გადახვევა (ან მასში ცვლილება), შეთანხმებულ იქნეს შემსყიდველთან.

❖ შემსყიდველისთვის გადასაცემი საბოლოო პროდუქცია

წარმოდგენილი პირობებისა და ვადების ფარგლებში შემსრულებლმა საბოლოო პროდუქციის სახით დამკვეთს უნდა გადასცეს შესრულებული სამუშაოების ანგარიში, შესრულებული სამუშაოების აქტები – ფორმა 2 და ფარული სამუშაოების აქტები, ლითონის სერთიფიკატები და ლაბორატორიული გამოცდების შედეგები

ბაგრატის ტაძარის დასავლეთ კოშკის მინაშენის კიბის უჯრედისა და გუმბათის მოთუთიებული ლითონის კონსტრუქციების დამზადებისა და მონტაჟის ღირებულების გაანგარიშება

№	სამუშაოების დასახელება	განზომ. ერთ	რაოდენობა	ერთ. ღირებულება ლარი	სულ ღირებულება ლარი
	გუმბათის ლითონის კონსტრუქციები				
	ქარხნული წესით დამზადებული ლითონკონსტრუქციების მონტაჟი	ტ	8,98	614,88	5521,61
	ქარხნული წესით დამზადებული მოთუთიებული ლითონკონსტრუქციების ღირებულება	ტ	8,98	3660,78	32873,80
	მზა ლითონკონსტრუქციების ტრანსპორტირება	ტ	8,98	65,96	592,32
	კიბის უჯრედის ლითონის კონსტრუქციები				
	ქარხნული წესით დამზადებული ლითონკონსტრუქციების მონტაჟი	ტ	18,932	614,88	11640,89
	ქარხნული წესით დამზადებული ლითონკონსტრუქციების ღირებულება მოთუთიების გარეშე	ტ	18,932	2968,20	56193,96
	მზა ლითონკონსტრუქციების ტრანსპორტირება	ტ	18,932	65,96	1248,75
	სულ პირდაპირი დანახარჯები				108071,35
	ზედნადები ხარჯები	8%			8645,71
	ჯამი				116717,06
	საავტორო ზედამხედველობა	0,40%			466,87
	ჯამი				117183,92
	ექსპერტიზის ხარჯები	1%			1171,84
	სულ				**118355,76**

სსიპ „საქართველოსკულტურული მემკვიდრეობისდაცვისეროვნულისააგენტო“-ს
გენერალურიდირექტორი
ნიკოლოზ ვაჩეიშვილი

შპს „მენოინტერნეიშნლ“-ის
დირექტორი
გიორგი ჯურცხალია

ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია #PE27600-12

თბილისი

26 აპრილი 2012 წელი

გარანტი: სს „საქართველოს ბანკი" (შემდგომში „გარანტი")
გარანტის საიდენთიფიკაციო კოდი: 204378869
გარანტის მისამართი: გაგარინის ქ. #29ა, თბილისი, 0160, საქართველო
პრინციპალი: შპს მენო ინტერნეიშნლ (შემდგომში „პრინციპალი")
პრინციპალის საიდენთიფიკაციო კოდი: 208213084
პრინციპალის მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის ისნის რაიონში, ქინძმარაულის ქ.15
ბენეფიციარი: სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო (შემდგომში „ბენეფიციარი")
ბენეფიციარის საიდენთიფიკაციო კოდი: 204562311
ბენეფიციარის მისამართი: თბილისი, თაბუკაშვილის #5
საგარანტიო თანხა: 2,368.00 (ორი ათას სამასსამოცდარვა) ლარი

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ პრინციპალს ბაგარეულის ტყეების დასაცავლად კომკის მინაშენის ლითონის კიბისა და გუნბათის ლითონის კონსტრუქციების დამზადებისა და მონტაჟის მიზნით წარდგენილი საფასურიანი წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგენის საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ, გარანტი, თანახმა ვართ გავცეთ პრინციპალის სახელზე აღნიშნული საბანკო გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები ოქვენს წინაშე პრინციპალის სახელით საერთო თანხაზე, არაუმეტეს ჯამში 2,368.00 (ორი ათას სამასსამოცდარვა) ლარი და ვკისრულობთ ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდას პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე ოქვენი პირველივე წერილობითი მოთხოვნისთანავე.

მოთხოვნა საგარანტიო თანხის ანაზღაურებაზე ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს სათანადოდ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული წერილობითი ფორმით, სადაც მითითებულ იქნება მოთხოვნილი თანხა ციფრობრივად და სიტყვიერად და განმარტებული უნდა იყოს კონკრეტულად პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულების რა პირობები იქნა დარღვეული პრინციპალის მხრიდან. მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს მოთხოვნაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და საბანკო გარანტიის ასლი.

წინამდებარე გარანტია ძალაშია პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების საბოლოოდ დამთავრებადე, მაგრამ არაუგვიანეს: 20 სექტემბერი 2012 წელი, შესაბამისად წინამდებარე გარანტია მოქმედებს აღნიშნული თარიღის ჩათვლით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საბანკო გარანტიაზე მოთხოვნა ან პრეტენზია წარმოდგენილ უნდა იქნეს საბანკო გარანტიის ვადის გასვლამდე სს „საქართველოს ბანკი"-ს (ს/კ: 204378869) კანცელარიის სამსახურში, ვაჭრობის ფინანსიების დეპარტამენტის საყურადღებოდ, მეორე მისამართზე: ნაბეთი ოფისი, გაგარინის ქ. #29ა, თბილისი, 0160, საქართველო.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით.
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმისა და საბანკო გარანტიის ორიგინალის გარანტისათვის დაბრუნებისას.

წინამდებარე საბანკო გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

ეთერ ჩხეიძე
გარანტიების სამსახურის უფროსი

თბილისი 0160 გაგარინის ქ. Gagarini Str., Tbilisi 0160, Georgia
Phone (+995 32) 2 444 444 Fax (+995 32) 2 444 174 Web www.bog.ge